სპეციალური საგამოძიებო სამსახური

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის
6 თვის საქმიანობის ანგარიში
2022

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
1. საანგარიშო პერიოდის მიღწევები 7
განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები 7
1.1. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება 7
1.2. საკადრო პოლიტიკა 9
1.3. გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის შექმნა 13
1.4. თანამშრომელთა შერჩევა და დაწინაურება 15
1.5. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა 17
2. დაზარალებულთა/მსხვერპლთა ჩართულობა საგამოძიებო პროცესში 24
3. თანამშრომლობა 27
3.1. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 27
3.2. საერთაშორისო თანამშრომლობა 29
3.3. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა 31
3.4. საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა 33
3.5. საერთაშორისო სასწავლო კურსები 34
4. ფინანსური ანგარიშგება 36
5. ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება 36
6. საანგარიშო პერიოდის სტატისტიკა 37
6.1. 6 თვის სტატისტიკური მაჩვენებელი 39

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 46
I. მიღებული შეტყობინებები 46
II. გამოძიების დაწყება 54
III. სავარაუდო მსხვერპლები 59
IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 61
V. სისხლისსამართლებრივი დევნა 74
VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 75
VII. გამოძიების შეწყვეტა 76
„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 77
I. მიღებული შეტყობინებები 77
II. გამოძიების დაწყება 80

III. სავარაუდო მსხვერპლები 85
IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 87
V. სისხლისსამართლებრივი დევნა 87
VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 89
VII. გამოძიების შეწყვეტა 90
VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 90
„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 91
I. მიღებული შეტყობინებები 91
II. გამოძიების დაწყება 94
III. სავარაუდო მსხვერპლები 98
IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 100
V. სისხლისსამართლებრივი დევნა 101
VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 102
VII. გამოძიების შეწყვეტა 102
VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 103
7. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას 103
8. სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილები 105
9. შედარებითი ანალიზი 107
10. მსხვერპლისათვის საქმის მასალებზე წვდომის უზრუნველყოფა 114
11. უახლოესი გეგმები 115
11.1. სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს შექმნა 116
11.2. ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა 116
11.3. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა 118
11.4. დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა 119
11.5. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა 119
11.6. სხვა აქტივობები: 120

წინასიტყვაობა

წინასიტყვაობა

მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა, საზოგადოების მოთხოვნა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება იყო.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ თანახმად, ქვეყანამ აიღო ვალდებულება საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების გზით, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით განახორციელოს ეფექტიანი რეფორმები, რისი გამოხატულებაც იყო 2019 წლის 1 ნოემბერს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის შექმნა, ხოლო 2022 წლის 1 მარტიდან[1] დამოუკიდებელი ორგანოს - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ამოქმედება.

დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის მისიაა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში განამტკიცოს და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს, შექმნას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის გარანტიები, აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიებით მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება, საზოგადოებაში გააჩინოს აღქმა, რომ მოქალაქეები სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული, არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებისგან დაცული არიან და თავის მხრივ სამართალდაცავ ორგანოებზე, სისტემის გაჯანსაღების, ევროპული სტანდარტებით სისტემის განვითარების და ეფექტური ფუნქციონირების კუთხით დადებითი ეფექტი იქონიოს.

2022 წლის 1 მარტიდან სამსახური იძიებს არამხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, არამედ იმ ძალადობრივ დანაშაულებსაც, რომლებიც ჩადენილია სამართალდაცავების მიერ და არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებასთან. კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სამსახურის ქვემდებარეობას სამართალდაცავების მიერ არასამსახურეობრივად ჩადენილი 28 დანაშაული (მუხლი) დაემატა. გარდა ამისა, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში მოცემული 12 მუხლით გაიზარდა, რომლებიც ეხება როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლას, დევნას და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, ასევე არჩევნებთან და ამომრჩევლის ნების გამოვლენასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, სადაც დანაშაულის სუბიექტი შესაძლოა იყოს როგორც საჯარო მოხელე, ასევე მოქალაქეც. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დატვირთვა დღევანდელ მოცემულობასთან შედარებით გაცილებით გაიზრდება, რაც თავის მხრივ სამსახურისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს და ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication--6

1

საანგარიშო პერიოდის მიღწევები, განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები

1. საანგარიშო პერიოდის მიღწევები, განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები

1.1. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება

2022 წლის 1 მარტიდან სამსახური ფუნქციონირებას ქალაქ თბილისში (მდებარე - მ. ასათიანის ქ. №9), ქუთაისსა (მდებარე - ი. აბაშიძის გამზ. №22) და ბათუმში (მდებარე - მაზნიაშვილის ქ. №54) მდებარე ადმინისტრაციული შენობების საშუალებით შეუდგა. თუმცა, ფუნქციონირების პირველ ეტაპზევე, გაზრდილი საგამოძიებო ქვემდებარეობისა და დანაშაულების სპეციფიკის გათვალისწინებით, რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შემჭიდროებულ ვადებსა და შესაბამისი სტანდარტით ჩატარების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადმინისტრაციული შენობების დამატებისა და მათი საშუალებით რეგიონალური საგამოძიებო დანაყოფების ფუნქციონირების აუცილებლობა გამოიკვეთა.

ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შედეგად, 2022 წლის 16 და 19 მაისს, სამსახურს ქ. ზუგდიდსა (კოსტავას ქუჩა №18) და ქ. თელავში (ერეკლე II-ის გამზირი №16) მდებარე ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ფართები გადმოეცა. თუმცა, არსებული ინფრასტრუქტურის საგამოძიებო სპეციფიკასთან ადაპტირებისა და თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს მოწყობის მიზნით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების რეაბილიტაცია და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდეა დაგეგმილი.

ამასთან, სამსახურის ახალი სტრუქტურული ფორმით ჩამოყალიბებისა და სათანადო საკადრო გადაჯგუფების პირობებში, ქ. თბილისის ოფისში დასაქმებული თანამშრომლებისთვის შესაბამისი სამუშაო პირობებისა და გარემოს უზრუნველსაყოფად, დამატებითი შენობის მოძიება დღის წესრიგში დადგა. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2022 წლის 21 აპრილიდან, ქ. თბილისში სამსახურმა დამატებითი ადმინისტრაციული შენობა (მდებარე - ალ. ყაზბეგის გამზ. 42-42ა))მოიძია, რომელშიც სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში დასაქმებული თანამშრომლები განთავსდნენ.

გამომდინარე იქიდან, რომ სამსახური ქალაქ თბილისში იჯარით აღებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მდებარე - მ. ასათიანის ქ. №9; ალ. ყაზბეგის გამზ. 42-42ა) ფუნქციონირებს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ აქტიური კომუნიკაციის შედეგად სამსახურს სარგებლობის უფლებით ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. მდებარე 4440.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობა გადმოეცა. ამჟამად აღნიშნულ ნაკვეთზე ასაშენებელი ადმინისტრაციული შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მოსამზადებელი ღონისძიებები მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრის შემდგომ, სამსახურის გაძლიერებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარების მიზნით, დაინიცირდა სამსახურის ინსტიტუციური გაფართოების პროცესი. განხორციელებული რეორგანიზაციისა და შესაბამისი სამართლებრივ-პროცედურული ეტაპების გავლის შემდეგ, უწყების წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ სამსახურის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბდა. ცვლილებების შედეგად:

- ინსტიტუციური გაფართოების პირველ ეტაპზე, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ეფექტური მენეჯმენტის და გამოძიების მიზნების უზრუნველსაყოფად, სამსახურს დაემატა 3 ახალი სამმართველო: აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის) მეორე სამმართველო, ასევე, კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოები, რომელი დანაყოფებიც საგამოძიებო ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას სამსახურისთვის გადმოცემულ ზუგდიდსა და თელავში მდებარე ორ ახალ ოფისში განახორციელებენ;

- რეგიონალური სამმართველოების დამატების შემდეგ, სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე საგამოძიებო ფუნქციის შესრულებას უკვე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში მდებარე სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით განახორციელებს;

1.2.

საკადრო პოლიტიკა

1.2. საკადრო პოლიტიკა

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად ორი ახალი უწყების - სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ჩამოყალიბების შემდგომ, საკადრო გადაჯგუფების შედეგად, ყველა იმ თანამშრომელმა, რომელმაც მათი მხრიდან გამოხატული წერილობითი ნების საფუძველზე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მუშაობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო, მიეცა საქმიანობის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ტოლფას თანამდებობაზე გაგრძელების შესაძლებლობა. კერძოდ, 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, სამსახურში დასაქმებული იყო **100** თანამშრომელი, რომელთაგანაც **67-მა (მათ შორის 46 საგამოძიებო მიმართულების თანამშრომელმა)** გამოთქვა სამსახურთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი, რაც როგორც აღინიშნა სრულად დაკმაყოფილდა.

საკადრო პოლიტიკის მაჩვენებელი



თანამშრომლების ამჟამინდელი მდგომარეობა



საგულისხმოა, რომ ყველა შემთხვევაში, იმ დასაქმებულ თანამშრომლებს, რომელმაც გამოთქვა აღნიშნული სურვილი (**67 პირი**) მიეცათ სამსახურთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობა და მათი უდიდესი ნაწილი დღემდე ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს. 2022 წლის 1 მარტიდან დღემდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის იმ თანამშრომელთაგან რომლებმაც მუშაობა განაგრძეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მიმდინარე პერიოდში მხოლოდ 2-მა მათგანმა დატოვა დაკავებული თანამდებობა[2].

რაც შეეხება, სამსახურის შესაბამის პოზიციებზე განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 28 თებერვლის მდგომაროებით დასაქმებულ თანამშრომლებს ამავე წლის 1 მარტიდან განესაზღვრათ მანამდე არსებული ხელფასის **ტოლფასი** თანამდებობრივი სარგო. ამასთან, არსებული საბიუჯეტო სახსრებისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, რიგ პოზიციასთან მიმართებით მიღებულ იქნა სახელფასო განაკვეთის ზრდის გადაწყვეტილება. კერძოდ, 2022 წლის 1 მარტიდან დღემდე თანამდებობრივი სარგოს მატების მაჩვენებელი დაფიქსირდა **20-მდე** თანამდებობაზე როგორც საგამოძიებო, ასევე, მხარდამჭერი დეპარტამენტების მიმართულებით; ისეთ პოზიციებზე, როგორსაც მაგალითად წარმოადგენს - საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი,

[2] ორივე მათგანმა სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილება პირადი მოტივებით დაასაბუთა და თავად იყო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორი.

საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, გენერალური ინსპექციის უფროსი, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე, ექსპერტ-კრიმინალისტი, საქმისწარმოებისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის კოორდინატორი, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის განახლებული სტრუქტურული ხის ფარგლებში, არ განხორციელებულა საშტატო ერთეულების შემცირება. შესაბამისად, მიმდინარე რეორგანიზაციისას არ მომხდარა არცერთი თანამშრომლის გათავისუფლება, ისევე როგორც, მათი არსებული მდგომარეობის რაიმე ფორმით გაუარესება. განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:



1.3.

გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის შექმნა

1.3. გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის შექმნა

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, ივნისის თვეში სამსახურში შეიქმნა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდა გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელმაც

- კონტროლი უნდა გაუწიოს სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების დროულ, ეფექტიან და კვალიფიციურ გამოძიებას;

- განახორციელოს მონიტორინგი სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებლების მიერ შედგენილ საგამოძიებო მოქმედებების ოქმებსა და სხვა საპროცესო დოკუმენტებზე;

- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზება;

- განახორციელოს დადგენილი პრაქტიკისა და გამოძიების სტანდარტების კვლევა, კვლევის ფარგლებში წამოჭრილი საკითხების განზოგადება, შეიმუშაოს გამოძიების პროცესში ყველა რელევანტური სარეკომენდაციო/სახელმძღვანელო მითითება და განახორციელოს მონიტორინგი მათ შესრულებაზე;

- სამსახურის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მოამზადოს სამსახურის საქმიანობის კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშები;

- მოახდინოს გამომძიებელთა საქმიანობის ყოველწლიური შეფასება და გაანალიზოს მათი დატვირთვა;

- მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, განსაზღვროს გამომძიებელთა გადამზადების საჭიროებები და მონაწილეობა მიიღოს მათი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.

1.4.

თანამშრომელთა შერჩევა და დაწინაურება

1.4. თანამშრომელთა შერჩევა და დაწინაურება

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა 21 (ოცდაერთი) ღია, ერთი გამარტივებული და 4 (ოთხი) შიდა კონკურსი. საკონკურსო პროცედურების შედეგად ისეთ მნიშვნელოვან პოზიციებზე როგორსაც წარმოადგენს - საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის გამოძიების ხარისხის შეფასების სპეციალისტის, მკვლევარ-ანალიტიკოსის, გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კოორდინატორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის, ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფის სპეციალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისა და სხვა, შეირჩნენ კვალიფიციური კადრები.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოს, კახეთის სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებისა და ოპერატიული სამმართველოს ოპერატიული მუშაკების შერჩევის მიზნით, ჩატარდა შესაბამისი საკონკურსო პროცედურები, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრები შეირჩნენ. გარდა ამისა, ჩატარდა რამდენიმე შიდა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სამსახურში დასაქმებულ თანამშრომლებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობა მიეცათ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რეგიონული სამმართველოების შექმნისა და საკადრო გადაჯგუფების შედეგად სამეგრელო-ზემო სვანეთის, დასავლეთ საქართველოს სამმართველოს, კახეთის სამმართველოს, აღმოსავლეთის (თბილისის) მეორე სამმართველოსა და ოპერატიული სამმართველოს უფროსებად, სწორედ სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დასაქმებული გამომძიებლები და თანამშრომლები შეირჩნენ, რომელთაც სამსახურთან თანამშრომლობის გამოცდილება გააჩნდათ და სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საქმეების გამოძიების სპეციფიკას ზედმიწევნით იცნობდნენ. ხაზგასასმელია, რომ სამსახურისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, სწორედ უწყებაში დასაქმებული თანამშრომლების განვითარება და მათთვის კარიერული წინსვლის შესაძლებლობების მიცემაა.

ხაზგასასმელია, რომ შექმნის დღიდან სამსახურის მიერ ვაკანტურ პოზიციებზე პირთა შერჩევა ყველა შემთხვევაში ღია და რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე განხორციელდა. საკონკურსო კომისიაში, სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო წრისა და კონკრეტული დარგის მოწვეული წარმომადგენლები.

დამატებით, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის ზრდიდან გამომდინარე გამოიკვეთა სამსახურის თანამშრომელთა გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ზრდის საჭიროება. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე, მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურების განხორციელება სწავლების უწყვეტი ციკლის ორგანიზაციულ დონეზე დანერგვის მიზნით. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა კომპლექსური ტრეინინგ საჭიროებების კითხვარი, რომლის პრაქტიკაში იმპლემენტაცია უახლოეს პერიოდში იგეგმება. აღნიშნულის მიზანს არსებული საჭიროებების გამოკვეთა და აღნიშნულის საფუძველს სასწავლო გეგმის ჩამოყალიბება-გაწერა წარმოადგენს.

1.5.

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

1.5. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შექმნის პირველივე დღიდან, აცნობიერებს და ირჩევს ღია და გამჭირვალე კომუნიკაციას საზოგადოებასთან და მედიასთან. 2022 წლის 1 მარტიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქტიურ რეჟიმში ხორციელდება მედიის და საზოგადოების ინფორმირება. სამსახურის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფორმირების შედეგად ორი დამოუკიდებელი უწყება შეიქმნა და არსებობდა ინფორმაციის დეფიციტი, თუ როგორ გააგრძელებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო მუშაობას, რა იქნებოდა მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნები.

სამსახურის შექმნის დღიდან საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია - განხორციელებული რეფორმები, სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები და სამომავლო განვითარების გეგმა, პროაქტიულ რეჟიმში ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ Facebook-ის გვერდზე. მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე ვრცელდება ოფიციალური განცხადებები და მიმდინარე საქმეებზე ხდება საზოგადოების ინფორმირება.

6 თვის განმავლობაში, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გაავრცელა 26 ოფიციალური განცხადება, ჩაატარა 7 ბრიფინგი, გამართა 21 შიდა და 13 გარე შეხვედრა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსდა როგორც საინფორმაციო სააგენტოებზე, ასევე გაშუქდა სატელევიზიო არხების მიერ. სოციალურ ქსელში განთავსდა 19 საინფორმაციო ხასიათის ბანერი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შექმნის პირველივე დღიდან, აცნობიერებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებ-გვერდზე - www.sis.gov.ge, სამსახურის ყველა სიახლე და გავრცელებული განცხადებები ხელმისაწვდომია ორ - ინგლისურ და ქართულ ენებზე.
სამსახურის ბრენდირება - ლოგოს შემუშავების შემდგომ 2022 წლის მაისიდან მიმდინარეობს მთელი სამსახურის შესაბამისი ბრენდირება (უნიფორმები, მანქანები, სავიზიტო ბარათები, ვებ-გვერდი (შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული, მეგობრული მარტივი ინტერფეისით), სოციალური გვერდი და სხვა).

მიმდინარეობს სამსახურის ვებ-გვერდის რეკონსტრუქცია - სამართავი და დაცვის სისტემების გაძლიერება, ვებ დიზაინის განახლება თანამედროვე, მსუბუქი და მომხმარებლის გამოცდილებაზე UX მორგებული დიზაინითა და მასში მარკეტინგული ხელსაწყოების Facebook pixel და Google Analytics კოდის ინტეგრაცია.



2022 წლის 7 მარტიდან ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური Facebook გვერდი. სოციალური ქსელის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს კომუნიკაციის ხელმისაწვდომობა.

6 თვის განმავლობაში, სამსახურის FACEBOOK-ის გვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ 595 900 მომხმარებელი შეადგინა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გვერდის გამომწერების რაოდენობა დღეის მდგომარეობით - 8 232 მომხმარებელია.

2022 წლის მაისის თვეში შეიქმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ახალი ლოგო და სრულიად განახლდა სამსახურის ბრენდირების სახელმძღვანელო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა

აღწერილობა:

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრულ დაშვებულ ხმალზე განთავსებულ გადაშლილ წიგნს, რომლის მარცხენა გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ხოლო ხმლის ზემოდან გამოსახულია სტილიზებული ივერიული გვირგვინი.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა, ასევე, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების ინიცირება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული სტუდენტებისთვის სამსახურში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა და შემდგომ დასაქმება, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნიდან 6 თვის განმავლობაში სამსახურის გამომძიებლებმა, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან 4 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს და სამსახურის სტრუქტურა, ძირითად ფუნქციები, მიმდინარე აქტუალურ თემები და სამომავლო გეგმები გააცნეს.



ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მთელი საქართველოს მასშტაბით, 4 რეგიონალური შეხვედრა ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქუთაისსა და თელავში გამართა.

2

დაზარალებულთა/მსხვერპლთა ჩართულობა საგამოძიებო პროცესში

2. დაზარალებულთა/მსხვერპლთა ჩართულობა საგამოძიებო პროცესში

სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო, რის საფუძველზეც მის წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე, პროცესის მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპით, მსხვერპლს აძლევს საქმის მასალებთან წვდომის შესაძლებლობას, მათ შორის უფლებას, პირადად გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნებს, ვიდეო და აუდი მასალასა და სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს, რათა პირს ჰქონდეს საკუთარი უფლებების რეალიზებისა და ამ უფლებების დაცულობის განცდა.

ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც საგამოძიებო უწყება დაზარალებულის სტატუსის არ მქონე პოტენციურ მსხვერპლებს, სისხლის სამართლის საქმესთან წვდომის და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის აღნიშნული ინიციატივა იმ საქმეებზე ვრცელდება, სადაც მოქალაქე სამართალდამცველებს ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაში ედავება.

დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ჩართვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება, ეფექტური, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც მას საშუალებას აძლევს არა მხოლოდ მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, არამედ თავადაც გაეცნოს საქმის მასალებს და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები მიმდინარე გამოძიების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ის სტანდარტი, რომელსაც უდგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წევრ ქვეყნებს პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვის და რეალიზების თვალსაზრისით. სწორედ ამ სტანდარტის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელო წესები, რომელმაც ფართო საჯარო დისკუსიები გაიარა. დოკუმენტი განხილულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების[3], სახალხო დამცველისა[4] და აკადემიური წრეების[5] წარმომადგენლებთან.

არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა და 2022 წლის 27 ივლისიდან ამოქმედდა. აღნიშნული დოკუმენტი გამომძიებლებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა[6].

[3] https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid084f3A6pP7VMasNxTq6YwiFxsXqKEX7BEdwFkPNG5ZkmXHMikxi2zhEdNXtD7FfAGl

[4] https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0MzNhpGUdB7niZCskfVNUaF99xffDAQj8wy8byZSvFyQwJdApLVbQ1jKkpnNfC2PXl

[5] https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0FU55nE5KJXgZ4mLn5VTAJByjZaVGNTQwZ3T4XdX2Wv61Lj2nMpZAjC4nZExsTCkgl

[6] https://sis.gov.ge/ka/page/individualuri-samartlebrivi-aqtebi/20222?fbclid--IwAR03SH1_x0G_9TSE18NZvu0DxVDqdjkk67r-P5Wp2Mo-3Gb-fZR-dV2umvf0

3 თანამშრომლობა

3.1.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

3. თანამშრომლობა

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სამოქალაქო სექტორთან პროაქტიული თანამშრომლობა და ანგარიშვალდებულება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში არაერთი ინდივიდუალური შეხვედრა გაიმართა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორიცაა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია[7], ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი[8], სოციალური სამართლიანობის ცენტრი და კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის[9].

მიმდინარე წლის 11-19 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ, მოადგილეებთან ერთად, მთელი საქართველოს მასშტაბით, სამართალდამცავი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, საჯარო სკოლების და სახალხო დამცველის აპარატის ადგილობრივ წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები გამართა. რეგიონული შეხვედრები ევროპის საბჭოს პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა. შეხვედრების ციკლი ქ.ბათუმიდან დაიწყო და ქ. ზუგდიდში, ქუთაისსა და თელავში გაგრძელდა. შეხვედრის მიზანს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების, შეტყობინებისა და საჩივრის მექანიზმის შესახებ სამიზნე ჯგუფებში ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. სამუშაო ფორმატში გამართულ შეხვედრებზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ ნათია სონღულაშვილმა,

[7] https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-moadgileebtan---giorgi-kvaracxeli-astan-da-natia-songulashviltan-ertad-saias-tavmjdomares-nikoloz-simonishvils-shexvda/176

[8] https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosis-moadgilem-natia-songulashvilma-informaciis-tavisuflebis-ganvitarebis-institutis-agmasrulebel-direqtortan-giorgi-kldiashviltan-shexvedra-gamarta/184

[9] https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-mediis-advokatirebis-koaliciis--warmomadgenlebs-shexvda/173

სამსახურის საქმიანობის პირველი კვარტალური ანგარიში წარადგინა. ასევე, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, საგამოძიებო მიმართულებით არსებული ტენდენციები, ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა. შეხვედრაზე მხარეებმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მანდატიდან გამომდინარე, რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ჭრილში, აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.

3.2.

საერთაშორისო თანამშრომლობა

3.2. საერთაშორისო თანამშრომლობა

სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, რათა საქართველოში ძალადობრივი სამოხელეო და კონვენციური მუხლების ეფექტიანი გამოძიების პროცესი დაამკვიდროს. ასევე, სამსახური საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობს, მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგი. კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური საქართველო - ევროკავშირის ასოცირების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში ჩაერთო და მიმდინარე წლის 25 მარტს გამართულ მე-7 სხდომას დაესწრო.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა (EU, INL, DoJ, CoE) და ადგილობრივი პროექტების წარმომადგენლებთან, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის, განსახორციელებული პროექტების განხილვის, საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებისა და სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის მიზნით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა.

ასევე, მიმდინარე წლის 22 ივნისს სამსახური ჩაერთო ქ. ბრიუსელში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-15 შეხვედრაში (HRD). ევროკავშირის ქვეკომიტეტის წევრებს სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსსმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე პრეზენტაცია წარუდგინა.

ასევე, მიმდინარე წლის 5-6 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა მიიღო. საქართველოს დელეგაციამ, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბექა ძამაშვილის ხელმძღვანელობით, ადამიანის უფლებათა კომიტეტს „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე მე-5 პერიოდული ანგარიში წარუდგინა.

3.3

სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

3.3. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

მიმდინარე წლის 19 აპრილს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი საქართველოს სახალხო დამცველს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი შეეხო დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის საქმიანობას, განვითარებასა და გამოწვევებს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დაზარალებული მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დანაშაულის პრევენციისთვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაზე, სამოხელეო დანაშაულების პრევენციის საბჭოს შექმნის ინიციატივაზე და სამსახურის მხრიდან სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილსა და მზაობაზე. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ომბუდსმენთან შეხვედრას სახალხო დამცველის მოადგილეები - თამარ გვარამაძე და გიორგი ბურჯანაძე ესწრებოდნენ[10].

ასევე, მიმდინარე წლის 14 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს გიორგი ბურჯანაძეს და სახალხო დამცველის სხვა წარმომადგენლებს სამსახურის მუშაობის კვარტალური ანგარიში წარუდგინა და მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე და სამსახურის განვითარების ძირითად ასპექტებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა[11].

[10] https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-saqartvelos-saxalxo-damcvels-ni-no-lomjarias--shexvda/170

[11] https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0MzNhpGUdB7niZCskfVNUaF99xffDAQj8wy8byZSvFyQwJdApLVbQ1jKkpnNfC2PXl

3.4

საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა

3.4. საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, 2022 წლის მარტში ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, სამსახურის შესახებ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინანადებით მიმართა. საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა წინადადებით შეთავაზებული ცვლილებები გაიზიარა, რომელთა კანონპროექტის სახით შემუშავებაში უფლებამოსილ კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში აქტიურად იყო ჩართული სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქტიურად იყო ჩართული.

პარლამენტისათვის წარდგენილი საკითხები, რომლებიც დღეს უკვე კანონის შემადგენელი ნაწილია და მოქმედებს, ეხებოდა სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის გაზრდას. კონკრეტულად, სამსახურის თანამშრომელთა პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლების, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის საჩივრით დაუბრკოლებლად მომართვის შესაძლებლობას, ასევე „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო უფლებამოსილების გაზრდას - დაცვის სპეციალური ღონისძიებების ეფექტურ გამოყენებასა და საგამოძიებო ქვემდებარეობის გაზრდას. ამავე ცვლილებებით გაფართოვდა როგორც სამსახურის თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ასევე განმტკიცდა მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე:

- ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრი (მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა) სარგებლობს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით, რომლის საბაზისო პაკეტს სრულად ანაზღაურებს სამსახური;

- ყველა თანამშრომელს (გარდა ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა და სტაჟორ-გამომძიებლებისა) შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სახელმწიფო წოდება, რომელიც თითოეულ მათგანს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ:

- სპეციალური წოდების შესაბამისი წოდებრივი სარგო;
- წელთა ნამსახურობის დანამატი;
- სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების გამო გათავისუფლების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღონ სახელმწიფო კომპენსაცია ან სახელმწიფო პენსია.

მიმდინარე წლის 18 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კოკა კაციტაძე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ანრი ოხანაშვილს და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ სარჯველაძეს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ევროკომისიის 12 პუნქტიან გეგმას და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიმართულებით შესაბამისი წინადადებების შემუშავებას, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ამ სამსახურის შემდგომ განვითარებაზე. ევროკომისიის რეკომენდაციის ფარგლებში ერთი-ერთი საკითხი სწორედ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით გადასადგემელ ნაბიჯებს ეხება[12].

[12] https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid02PJpYsgFbmFhowYbbBCPxfsHrnZudt15zK1pqpnxeRUuyLq7x8N65Rz1dMxVerbXyl

3.5

საერთაშორისო სასწავლო კურსები

3.5. საერთაშორისო სასწავლო კურსები

MASHAV-ის (ისრაელის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) საერთაშორისო ტრენინგის „უსაფრთხოება და საზოგადოება“ ფარგლებში, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ისრაელის უსაფრთხოების საკითხებში საუკეთესო პრაქტიკების გაცნობის მიზნით, მიმდინარე წლის 10-29 ივლისს ისრაელში იმყოფებოდნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები: გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) განსაკუთრებით მნიშნელოვან საქმეთა ინსპექტორი, აღმოსავლეთ სამმართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელოვან დავალებათა ინსპექტორი და ოპერატიული სამმართველოს უფროსი[13].

[13] https://www.facebook.com/MashavGeorgia/posts/3150778325185923/; https://www.facebook.com/mashav.tbilisi/posts/10224929394834964/

4 ფინანსური ანგარიშგება

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28[1] მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა 2022 წელს ფინანსდება „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველის კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდიდან (51 00). დღეის მდგომარეობით, 2022 წელს სამსახურისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების რაოდენობა შეადგენს 7 119 100 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით - 3 173 092.31 ლარს. სამსახურისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკმარისი საბიუჯეტო რესურსის არარსებობა.

5 ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება

თანამედროვე სამყაროში, ყოველდღიურად უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება როგორც შეხვედრების, ისე სასწავლო კურსების განსახორციელებლად. ციფრული კომუნიკაციის ამაღლებისა და რესურსების დაზოგვის მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს შესყიდვების ოფისთან UNOPS-თან აქტიური თანამშრომლობით, მიმდინარე წლის 17 მაისს სპეციალური საგამოძიებო სამსახური თანამედროვე Cisco-ს ფირმის ტელე-საკონფერენციო სისტემით აღიჭურვა, რამაც შესაძლებელი გახადა ოფისებს შორის დისტანციური თათბირების, კონფერენციებისა და ტრენინგების ჩატარება. რეგიონალურ და ცენტრალურ ოფისებში „ტელეპრეზენსი“-ს სისტემის არსებობა მოქნილს და უსაფრთხოს ხდის ოფისებს შორის კავშირს.

6 საანგარიშო პერიოდის სტატისტიკა [14]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას აწარმოებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელ ნოემბერს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე:

- ✓ წამება (სსკ-ის 144[1] მუხლი);
- ✓ წამების მუქარა (სსკ-ის 144[2] მუხლი);
- ✓ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (სსკ-ის 144[3] მუხლი);
- ✓ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები);
- ✓ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები);
- ✓ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (სსკ-ის 335-ე მუხლი);
- ✓ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით (სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- ✓ სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 1261, 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ. ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება სსკ-ის კოდექსის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

[14] საგამოძიებო დეპარტამენტის 2022 წლის 6 თვის სტატისტიკა /მარტი-აგვისტო/

6.1.

6 თვის სტატისტიკური მაჩვენებელი

6.1. 6 თვის სტატისტიკური მაჩვენებელი [15]

2022 წლის 6 თვის განმავლობაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა **1544** შეტყობინება. აქედან 65% (**1014** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 19% (**288** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 14% (**221** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 1% (**13** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ, 1% (**8** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ[16] .

აღნიშნული **1544** შეტყობინებიდან **1267** შეტყობინება (82%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[17] 32 შეტყობინება (2%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს[18], **92** შეტყობინება (6%) შეეხებოდა ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს,[19] ხოლო **153** შეტყობინება (10%) წარმოადგენდა არა ქვემდებარე შეტყობინებას.[20]

[15] იგულისხმება 2022 წლის 1-ლი მარტიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი;

[16] შეტყობინებების ნაწილში სამეგრელოსა და კახეთის სამმართველოების სტატისტიკის ცალკე გამოყოფა განხორციელდა აგვისტოს თვიდან, შესაბამისად ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ერთი თვის სტატისტიკა.

[17] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები;

[18] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები;

[19] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

[20] არა ქვემდებარე შეტყობინებად აღირიცხება ის შეტყობინებები, რომლებიც შეტყობინების შემოსვლის ეტაპზე არ შეიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულის ნიშნებს.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



2022 წლის 6 თვის განმავლობაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **246** სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, **212** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **2** სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა **32** სისხლის სამართლის საქმე.

აღნიშნული 246 სისხლის სამართლის საქმიდან, 169 სისხლის სამართლის საქმე აღმოსავლეთის სამმართველოს წარმოებაშია, 44 სისხლის სამართლის საქმე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს, 26 სისხლის სამართლის საქმე - დასავლეთის სამმართველოს, 4 სისხლის სამართლის საქმე - კახეთის სამმართველოს, ხოლო 3 სისხლის სამართლის საქმე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს წარმოებაშია.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2022 წლის 6 თვეში გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 34 პირის მიმართ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 29 სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ:

- ✓ 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის ოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

- ✓ 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- ✓ 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

✔ 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

✔ 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (ბრალდებული არ არის საჯარო მოხელე, თუმცა აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 108-ე მუხლით. საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადმოეცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს);

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) და 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოთხი ეპიზოდი), 126[1] მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (6 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 8 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 3 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლის 1-ლი ნაწილით და 157^1 მუხლის მე-2 ნაწილით;

- 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სისხლისსამართლებრივი დევნის კვალიფიკაცია



სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული 34 პირიდან:

- ✓ 4 პირი - საპატრულო პოლიციის თანამშრომელია (პატრულ-ინსპექტორი);
- ✓ 3 პირი - შსს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელია (2 პირი - დეტექტივ-გამომძიებელი და 1 პირი - უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი);
- ✓ 1 პირი - შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელია (სამმართველოს უფროსი);
- ✓ 1 პირი - სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორია;
- ✓ 1 პირი - სასაზღვრო პოლიციის წამყვანი სპეციალისტია;
- ✓ 1 პირი - სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელია (მესაზღვრე);
- ✓ 1 პირი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველია;
- ✓ 1 პირი - სამხედრო პოლიციის თანამშრომელია (ინსპექტორი);
- ✓ 1 პირი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის ინსპექტორია;

- 1 პირი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირების და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს ოფიცერია;
- 1 პირი - დაცვის პოლიციის პირადი დაცვის ინსპექტორია;
- 18 პირი - მოქალაქეა.

ბრალდებულად ცნობილ პირთა თანამდებობა



„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[21]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის 6 თვეში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, შემოვიდა **1267** შეტყობინება. აქედან 66% (**833** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 18% (**233** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 14% (**182** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 1% (**11** შეტყობინება) სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ, 1% (**8** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ.

[21] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

მიღებული შეტყობინებების რაოდენობა



ყველაზე დიდი ნაწილი (73%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან. [22]

[22]რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **1267** შეტყობინება შეეხებოდა **1330** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **58**%-ის **(**772 პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, **13**%-ის (167 პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება[23], **10**%-მა (130 პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **8**%-ის (106 პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან, **7**%-ის (94 პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე მიმდინარეობს წარმოება, ხოლო **4**%-ის (61 პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას.

[23] სავარაუდო მსხვერპლების მიმართ განხორციელებული რეაგირების მაჩვენებელი გამომდინარეობს შეტყობინების შინაარსიდან;

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები **1330** სავარაუდო მსხვერპლიდან გაესაუბრნენ **1001** სავარაუდო მსხვერპლს. **62%**-თან გასაუბრება ჩატარდა შეტყობინების მიღებიდან იმავე ან მეორე დღეს[24].

[24] სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეტყობინების შემოსვლიდან რამდენიმე დღის (კვირის) შემდგომ, ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ვერ ხერხდებოდა სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება - არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ მისამართზე და ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ; სავარაუდო მსხვერპლს სჭირდებოდა დრო ადვოკატის ასაყვანად; სავარაუდო მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარს აცხადებდა გასაუბრებაზე; შეტყობინებაში არ ფიქსირდებოდა სავარაუდო მსხვერპლის საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად, საკონტაქტო ინფორმაციის მოძიების შემდგომ მოხდა მასთან დაკავშირება.

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დრო შეტყობინების მიღებიდან



სავარაუდო მსხვერპლთა **43%**-თან გასაუბრება შედგა პირისპირ, **39%**-თან - სატელეფონო ფორმით, ხოლო **18%**-თან - ონლაინ[25].

[25] სავარაუდო მსხვერპლებთან გასაუბრების მეთოდის სტატისტიკის წარმოება დაიწყო ივნისის თვიდან, შესაბამისად ანგარიშში მოცემულია სამი თვის მონაცემი (ივნისი, ივლისი, აგვისტო).

გასაუბრების მეთოდი



მხოლოდ ცხელი ხაზით მიღებული შეტყობინებების შემთხვევაში ფიქსირდება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინების შემოსვლის ზუსტი დრო. ცხელი ხაზის საშუალებით მიღებული შეტყობინებების საფუძველზე სულ 177 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ იმავე დღეს. კერძოდ, 33 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ შეტყობინების მიღებიდან 1 საათში, 28 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ შეტყობინების მიღებიდან 3 საათში; 22 სავარაუდო მსხვერპლს - 5 საათში; 5 სავარაუდო მსხვერპლს - 8 საათში, 43 სავარაუდო მსხვერპლს - 10 საათში, 13 სავარაუდო მსხვერპლს - 12 საათში, 6 სავარაუდო მსხვერპლს - 18 საათში, 12 სავარაუდო მსხვერპლს - 20 საათში, ხოლო 15 სავარაუდო მსხვერპლს - 23 საათში[26].

[26] შეტყობინების მიღებიდან, სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დროის სტატისტიკის წარმოება დაიწყო აპრილის თვიდან, შესაბამისად ანგარიშში ასახულია ხუთი თვის მონაცემი (აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო).

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დრო შეტყობინების მიღებიდან



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ **145 სისხლის სამართლის საქმეზე**, მათგან **140** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, ხოლო 5 საქმე გადმოიგზავნა უწყებრივი ქვემდებარეობით.

აღნიშნული 145 სისხლის სამართლის საქმიდან, 96 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, 30 სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 14 სისხლის სამართლის საქმეზე დასავლეთის სამმართველოში, 4 სისხლის სამართლის საქმეზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში[27].

უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოგზავნილი 5 სისხლის სამართლის საქმიდან, 2 გადმოიგზავნა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში), 1 გადმოიგზავნა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტიდან (გამოძიება გაგრძელდა დასავლეთის სამმართველოში), 1 ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში), 1 კი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან (გამოძიება გაგრძელდა აღმოსავლეთის სამმართველოში). 2 საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-2 დღეს, 1 საქმე გამოძიების დაწყებიდან 1 კვირაში, 1 საქმე გამოძიების დაწყებიდან 1 თვეში, 1 საქმე გამოძიების დაწყებიდან 2 თვეში.

[27] 2022წლის 1 ივლისიდან ცალკე აღირიცხება კახეთისა და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოებში არსებული მონაცემები.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ყველაზე მეტი რაოდენობა შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან (43%).

შეტყობინებათა ავტორები



დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა 38%-ზე გამოძიება დაიწყო შეტყობინების შემოსვლის დღესვე, 24%-ზე - მეორე დღეს, 13%-ზე მესამე დღეს, 16%-ზე - ერთი კვირის ვადაში, 6%-ზე - ორი კვირის ვადაში, ხოლო 3%-ზე - ერთი თვის ვადაში.

დანაშაულის შემცველ შეტყობინებაზე გამოძიების დაწყების დრო



დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



აღნიშნული 145 სისხლის სამართლის საქმიდან 1 სისხლის სამართლის საქმეზე შეიცვალა პროკურორის მიერ დანაშაულის კვალიფიკაცია, კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ, კი გამოძიება გაგრძელდა 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

III. სავარაუდო მსხვერპლები

სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ფიგურირებს სულ **164** სავარაუდო მსხვერპლი. მათგან 93% (153 პირი) არის მამრობითი, ხოლო 7% (11 პირი) მდედრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



სავარაუდო მსხვერპლთა 30% (49) არის ადმინისტრაციული წესით დაკავებული, 27% (44) დაკავებული ბრალდებული, 17% (28) მოქალაქე, 12% (20) თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 7% (12) პატიმარი ბრალდებული, 5% (9) მოწმე, 1% (1) ადვოკატი, ხოლო 1% (1) ბრალდებული.

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი



IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლების 78% (131) შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, 20% (34) - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს, 1% (1) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ასევე 1% (1) სასამართლოს მანდატურის სამსახურს. [28]

უწყებები, რომლებზეც მიუთითებენ სავარაუდო მსხვერპლები



სავარაუდო მსხვერპლები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებენ პოლიციის თანამშრომლებს (გარდა საპატრულო პოლიციისა), უთითებენ შემდეგ კონკრეტულ დანაყოფებს -

[28] რიგ შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ უწყებად დაფიქსირდა რამდენიმე დანაყოფი, შესაბამისად, უწყებათა რაოდენობა აღემატება მსხვერპლთა რაოდენობას.

თბილისი

შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი	2
შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	1
შსს არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველო	1
შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი	3
ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონოდ შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილება	1
ქ.თბილისის მთავარი სამმართველო (საგამოძიებო სამმართველო)	1
შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველო	2
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო	1
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მე-6 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მე-8 სამმართველო	3
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-4 სამმართველო	1

შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-5 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-7 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-9 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველო	2
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს მე-4 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველო	2
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო	1
შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-6 სამმართველო	1

შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მე-7 სამმართველო	1
დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქ.თბილისის N2 დროებითი მოთავსების იზოლატორი	1

რეგიონები:

შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპარტამენტი	3
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველო	3
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს 1-ლი განყოფილება	1
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილება	2
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილება	4
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-4 განყოფილება	1
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-6 განყოფილება	2
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს კახაბრის პოლიციის განყოფილება	3
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველო	2

შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს ჩაქვის პოლიციის განყოფილება	**1**
შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილება	**1**
შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი	**1**
შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის 1-ლი განყოფილება	**1**
შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილება	**1**
შსს იმერეთის რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველო	**1**
შსს იმერეთის რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველო	**1**
შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული სამმართველო	**1**
შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, თერჯოლის რაიონული სამმართველოს ნახშირღელის პოლიციის განყოფილება	**1**
შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონული სამმართველო	**2**
შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს ურეკის პოლიციის განყოფილება	**1**
შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველო	**1**

შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველო	1
შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველო	3
შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველო	2
შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს ნაფარეულის განყოფილება	1
შსს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველო	1
შსს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო	1
შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველო	1
შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველო	1
შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალციხის რაიონული სამმართველო	1
შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველო	1
შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის საგურამოს განყოფილება	1
შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს წეროვანის პოლიციის განყოფილება	1

შსს ქვემო ქართლი მარნეულის რაიონული სამმართველო	**4**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს მეორე სამმართველო	**2**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილება	**1**
შსს ქვემო ქართლი თეთრიწყაროს რაიონული სამმართველო	**3**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის პირველი განყოფილება	**1**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილება	**1**
შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორი	**1**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველო	**2**
შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონული სამმართველო	**1**
შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი	**2**
შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველო	**1**
შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველო	**3**
შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის მეხუთე განყოფილება	**1**

სავარაუდო მსხვერპლები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს, უთითებენ შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებს:

№2 პენიტენციური დაწესებულება	**1**
№3 პენიტენციური დაწესებულება	**2**
№6 პენიტენციური დაწესებულება	**2**
№8 პენიტენციური დაწესებულება	**12**
№10 პენიტენციური დაწესებულება	**1**
№12 პენიტენციური დაწესებულება	**1**
№15 პენიტენციური დაწესებულება	**1**
№16 პენიტენციური დაწესებულება	**1**
№17 პენიტენციური დაწესებულება	**2**
№18 პენიტენციური დაწესებულება	**2**
სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველო	**5**
სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის აღმოსავლეთის სამმართველოს №16 განყოფილება	**3**

სავარაუდო მსხვერპლი, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასევე ასახელებს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს, კერძოდ:

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“	**1**

სავარაუდო მსხვერპლები, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასევე ასახელებენ სხვა უწყების თანამშრომლებს, კერძოდ:

სასამართლოს მანდატურის სამსახური	**1**
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	**1**

სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ, 42%-მა დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი (68). ასევე, დანაშაულის ჩადენის ადგილად დასახელდა აჭარა (18% (31)), ქვემო ქართლი (13% (21), იმერეთი (9% (15)), კახეთი (7% (11)), მცხეთა-მთიანეთი (4% (6)), შიდა ქართლი (3% (5)), სამცხე-ჯავახეთი (2% (3)), ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია თანაბრად (1-1% (2-2)).

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



სავარაუდო მსხვერპლთა 33% (70) სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ადგილად მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობას, 25% (56) ქუჩას, 20% (45) ავტომანქანას, 11% (25) პენიტენციურ დაწესებულებას, 4% (8) სახლს, 1% (2) შსს დროებითი მოთავსების იზოლატორს, ხოლო 6% (14) სხვა საჯარო დაწესებულებას.[29] **ზოგ შემთხვევაში ერთმა და იმავე მსხვერპლმა შესაძლო დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა რამდენიმე ადგილი[30].**

[29] აღნიშნული დაწესებულებები დეტალურადაა ჩაშლილი დიაგრამაზე;
[30] პროცენტული მაჩვენებელი გამოყვანილია საერთო ჯამური მონაცემებიდან.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილი



სავარაუდო მსხვერპლთა 28% (51) ძალადობის მოტივად ასახელებს შელაპარაკება/შეურაცხყოფას, 20% (36) დაუმორჩილებლობა/წინააღმდეგობას, 12% (21) - დამორჩილების/დასჯის/კონტროლის სურვილს, 10% (19) - ინფორმაციის მიღებას, ხოლო 30% (54) სხვა მოტივს. **ზოგ შემთხვევაში ერთმა და იმავე მსხვერპლმა შესაძლო ძალადობის მოტივად დაასახელა რამდენიმე მოტივი[31].**

[31] პროცენტული მაჩვენებელი გამოყვანილია საერთო ჯამური მონაცემებიდან.

ძალადობის მოტივი



სპეციალური
საგამოძიებო
სამსახური

V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის 6 თვეში გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. აღნიშნული 6 პირიდან -

✓ 1 პირი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

✓ 1 პირი იყო კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი (დეტექტივ-გამომძიებელი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

✓ 1 პირი იყო კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი (უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

✓ 1 პირი იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი (პატრულ-ინსპექტორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

✓ 1 პირი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირების და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს ოფიცერი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

✓ 1 პირი იყო პენიტენციური დაწესებულების პატიმარი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (ბრალდებული არ არის საჯარო მოხელე, თუმცა აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 3421 მუხლის მე-2 ნაწილით, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 108-ე მუხლით. საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადმოეცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს).

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 6 ბრალდებულიდან გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა 5 პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე (1 პირი იყო პატიმარი და მის მიმართ არ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება და მხოლოდ განისაზღვრა წინა სასამართლო სხდომის თარიღი). აღნიშნული ხუთივე პირის მიმართ მოთხოვნილ იქნა პატიმრობა. სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ 2 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე და ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა, ხოლო 3 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე არ დააკმაყოფილა, კერძოდ 1 ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო, ხოლო 2 ბრალდებულის მიმართ - გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის 6 თვეში გენერალურმა პროკურატურამ გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, გამოძიება შეწყვიტა 14 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 1-ზე გამოძიება დაწყებული იყო 2019 წელს, 2-ზე - 2020 წელს, 8-ზე - 2021 წელს, ხოლო 3-ზე - 2022 წელს.

ზემოაღნიშნულ 14 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 11 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 2 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით;
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[32]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, შემოვიდა **32** შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინებების 53% (**17** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 31% (**10** შეტყობინება) -დასავლეთის სამმართველომ, 13% (**4** შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ, ხოლო 3% (**1** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

[32] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126[1], 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



შეტყობინებათა 75% შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 32 შეტყობინება შეეხებოდა **35** პირს.

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 32%-ის (**11** პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, 32%-ის (11 პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, 14% (**5** პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, 11% (**4** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენცია, 9% (**3** პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან, 3% (**1** პირი) მიმდინარეობს წარმოება.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება

(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის 6 თვეში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **32 სისხლის სამართლის საქმეზე.** აქედან, **14** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან 9-ზე გამოძიება დაიწყო საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 2-ზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში, 2-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, ხოლო 1-ზე - დასავლეთის სამმართველოში. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოიგზავნა **17** სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან 14-ზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 2-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, ხოლო 1-ზე - დასავლეთის სამმართველოში. 6 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს, 2 სისხლის სამართლის საქმე - მე-2 დღეს, 5 სისხლის სამართლის საქმე - მე-3 დღეს, 2 სისხლის სამართლის საქმე - მე-4 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე - მე-14 დღეს და 1 სისხლის სამართლის საქმე - 27-ე დღეს.

1 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გაგრძელდა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე 6 შეტყობინება შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფიდან, 4 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, 1 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან, 1 შეტყობინება - საქართველოს პროკურატურიდან, ხოლო 2 შეტყობინების ავტორი იყო ფიზიკური პირი/მოქალაქე.

შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება



დანაშაულის კვალიფიკაცია

ზემოაღნიშნული საქმეებიდან 3 სისხლის სამართლის საქმე უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 3 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით, 1 სისხლის სამართლის საქმე - 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, ხოლო 2 სისხლის სამართლის საქმე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე მუხლის 1-ლი და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით, 2 სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 3 სისხლის სამართლის საქმეზე - 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 124-ე მუხლით, 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმეზე - 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

1 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



აღნიშნული 32 სისხლის სამართლის საქმიდან 5 სისხლის სამართლის საქმეზე შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია. კერძოდ, 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ხოლო კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ, გამოძიება გაგრძელდა 126[1]მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით. 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო 126[1] მუხლის პირველი ნაწილითა და 11[1] 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 126[1]მუხლის მე-2 ნაწილის

„ბ“ ქვეპუნქტით (4 ეპიზოდი), 126 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით (3 ეპიზოდი) და 11[1] 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 1261მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა 1261მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით. 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კვალიფიკაციის შეცვლის შემდგომ გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

III. სავარაუდო მსხვერპლები

2022 წლის 6 თვეში გამოძიება დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, **ფიგურირებს სულ 41 სავარაუდო მსხვერპლი,** მათგან **23** არის მამრობითი, ხოლო **18** მდედრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა სქესი

სავარაუდო მსხვერპლთა 10% არის არასრულწლოვანი, 90% სრულწლოვანი.

სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



IV. შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილად 20 შემთხვევაში დაასახელეს თბილისი, 3 შემთხვევაში ქვემო ქართლი, **1** შემთხვევაში - იმერეთი, **2** შემთხვევაში - სამეგრელო-ზემო სვანეთი, **5** შემთხვევაში - შიდა ქართლი, **3** შემთხვევაში - აჭარა, **5** შემთხვევაში - კახეთი, **1** შემთხვევაში - გურია, ხოლო **1** შემთხვევაში - რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/ მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული **11** პირიდან:

- 1 პირი იყო სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირი იყო კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი (დეტექტივ-გამომძიებელი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) და 126¹ მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 პირი იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი (პატრულ-ინსპექტორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

- 1 პირი იყო სამხედრო პოლიციის თანამშრომელი (ინსპექტორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდ) და 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 პირი იყო სასაზღვრო პოლიციის წამყვანი სპეციალისტი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოთხი ეპიზოდი), 1261 მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი) და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირი იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი (პატრულ-ინსპექტორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით- სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირი იყო სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი (მესაზღვრე) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი);

- 1 პირი იყო დაცვის პოლიციის პირადი დაცვის ინსპექტორი და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 11'-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი (სამმართველოს უფროსი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;

- 1 პირი იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი (პატრულ-ინსპექტორი) და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (6 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 11 ბრალდებულიდან 6-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებოდა პატიმრობა, ხოლო 5-ს - გირაო (სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხოლოდ 2 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე და პატიმრობის ნაცვლად ბრალდებულებს შეუფარდა გირაო).

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 4 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულ ოთხივე საქმეზე გამოძიება დაიწყო 2022 წელს.

მითითებული საქმეებიდან 2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო 2-ზე - პროკურორის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ბრალდებაზე უარის თქმის გამო (გამოყენებულია განრიდება).

შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში დაწყებული 32 სისხლის სამართლის საქმიდან დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 4 სისხლის სამართლის საქმეში. ოთხივე შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლთა მიმართ ქმედება განხორციელდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. 1 სისხლის სამართლის საქმეში, არსებობს თუ არა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, ამ ეტაპზე, უცნობია.

4 სისხლის სამართლის საქმიდან, სადაც გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, 3 სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიება მიმდინარეობს შემდეგი მუხლებით:

- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით. ბრალი წარედგინა[33] 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (6 ეპიზოდი) და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

1 სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გაიგზავნა სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო ბრალი წარედგინა[34] ამავე მუხლით, ორ ეპიზოდზე.

[33] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაშიც არის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ასახული.

[34] აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[35]

I. მიღებული შეტყობინებები

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), შემოვიდა **92** შეტყობინება. აქედან 64% (**59** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 20% (**18** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 15% (**14** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, ხოლო 1% (**1** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

[35] იგულისხმება სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 1644 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 92 შეტყობინება შეეხებოდა 117 პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 43%-ის (50 პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, შეტყობინებების 27% (32 პირი) არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, 21% (24 პირი) გაიგზავნა სხვა უწყებაში რეაგირებისთვის, შეტყობინებების 4% (5 პირი) დაერთო სისხლის სამართლის საქმეს/პრე საქმეს, 3%-მა (3 პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, 3%-ის (3 პირი) მიმართ მიმდინარეობს წარმოება.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება

(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



II. გამოძიების დაწყება

2022 წლის 6 თვეში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), გამოძიება დაიწყო **69** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან **58** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე[36], **10** სისხლის სამართლის საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო, 1 საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის დადგენილების საფუძველზე.

[36] აღნიშნული 58 საქმიდან 1 საქმეზე გამოძიება დაიწყო მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული 69 სისხლის სამართლის საქმიდან 49 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს აღმოსავლეთის სამმართველოში, 10 სისხლის სამართლის საქმეზე დასავლეთის სამმართველოში, ასევე, 10 სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



უწყებრივი ქვემდებარეობით, ზემოაღნიშნული **10** სისხლის სამართლის საქმიდან, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში **2** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან იმავე დღეს, **4** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-2 დღეს, **1** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-3 დღეს, **1** სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა

გამოძიების დაწყებიდან მე-5 დღეს, 1 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან მე-8 დღეს და ასევე, 1 სისხლის სამართლის საქმე გადმოიგზავნა გამოძიების დაწყებიდან, დაახლოებით, 2 თვის ვადაში.

დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლით.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



აღნიშნული 69 სისხლის სამართლის საქმიდან, კვალიფიკაცია შეიცვალა 7 სისხლის სამართლის საქმეზე:

- 1 სისხლის სამართლის საქმეზესპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 255-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

- 1 სისხლის სამართლის საქმეზესპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

- 2 სისხლის სამართლის საქმეზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

- 1 სისხლის სამართლის საქმეზესპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 157-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

- 1 სისხლის სამართლის საქმეზესპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

- 1 სისხლის სამართლის საქმეზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კვალიფიკაცია პროკურორმა დააზუსტა და საბოლოოდ, გამოძიება გაგრძელდა სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

III. სავარაუდო მსხვერპლები

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში გამოძიება დაწყებულ და წარმოებაში გადმოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), ფიგურირებს სულ 87 სავარაუდო მსხვერპლი , რომელთაგან **58** არის მდედრობითი სქესის[37], ხოლო, **29** - მამრობით სქესის[38].

სავარაუდო მსხვერპლთა სქესი



87 სავარაუდო მსხვერპლიდან 18% (**16 პირი**) არის არასრულწლოვანი, ხოლო 82% (**71 პირი**) სრულწლოვანი.

[37] 1 სისხლის სამართლის საქმეზე დაუდგენელია მსხვერპლთა ვინაობა და რაოდენობა;
[38] მათ შორის, 2 ტრანსგენდერი ქალი.

სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



IV შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



V. სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წლის 6 თვეში გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული 17 პირიდან -

- 8 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლის 1-ლი ნაწილით;

- 3 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 2 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლის 1-ლი ნაწილით და 157^1 მუხლის მე-2 ნაწილით;

- 2 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

- 1 პირის (მოქალაქის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობით - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

VI. მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული 17 ბრალდებულიდან სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა 15 პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე (2 პირს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება და მის მიმართ განისაზღვრა მხოლოდ წინა სასამართლო სხდომის თარიღი). საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული აღნიშნული 15 ბრალდებულიდან 13-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებოდა პატიმრობა, ხოლო 2-ს - გირაო. პატიმრობის მოთხოვნის 13 შუამდგომლობიდან არ დააკმაყოფილდა 7 და ბრალდებულებს შეეფარდა გირაო.

VII. გამოძიების შეწყვეტა

2022 წლის 6 თვეში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 1 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2022 წელს და გამოძიება მიმდინარეობა სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლის პირველი ნაწილით.

VIII. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

87 სავარაუდო მსხვერპლიდან 63 მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული მოტივი არ გამოკვეთილა. დისკრიმინაციული მოტივი გამოიკვეთა მხოლოდ ერთ სისხლის სამართლის საქმეში 10 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ (დევნა აღმსარებლობისა და რწმენის გამო), 14 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული მოტივის არსებობა უცნობია.

7

დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

7. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, პროკურატურას 13 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან, 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 5 წინადადება კი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

დასაბუთებული წინადადებების შინაარსი



აღნიშნული 13 წინადადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 10 წინადადება, 2 წინადადება არ დაკმაყოფილდა (1 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 1 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას), ხოლო 1 წინადადება, რომელიც შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



8

სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილები

8. სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილები

2022 წლის 1 მარტიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში სახალხო დამცველის აპარატიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურში საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე შემოვიდა 153 წერილი, საიდანაც 4 შეეხებოდა საქმის მასალების გაცნობას, ხოლო 149 - ინფორმაციის გამოთხოვას.

4-ვე წინადადება საქმის მასალების გაცნობაზე დაკმაყოფილება სრულად, ხოლო 149 წერილზე სამსახურმა მოახდინა დროული რეაგირება და ასევე სრულად გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია.

9 შედარებითი ანალიზი

9. შედარებითი ანალიზი [39]

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა (მარტი-აგვისტო)



[39] შედარება გაკეთებულია ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მიერ 'სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით ნაწარმოებ ს/ს საქმეებზე არსებულ შედეგობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში 2020 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში შევიდა **1580** შეტყობინება, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - **1747** შეტყობინება, ხოლო 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა **1267** შეტყობინება.[40]

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი (მარტი-აგვისტოს პერიოდი)



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა 2020 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში გამოძიება დაიწყო **146** სისხლის სამართლის საქმეზე, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - **200** სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **145** სისხლის სამართლის საქმეზე.[41]

[40] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

[41] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გენერალურმა პროკურატურამ 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, აღნიშნული პირებიდან მარტი-აგვისტოს პერიოდში 3 სისხლის სამართლის საქმეზე 3 პირის მიმართ იქნა ბრალდების შესახებ დადგენილება გამოტანილი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გენერალურმა პროკურატურამ 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, აღნიშნული პირებიდან მარტი-აგვისტოს პერიოდში 4 სისხლის სამართლის საქმეზე 5 პირის მიმართ იქნა ბრალდების შესახებ დადგენილება გამოტანილი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გენერალურმა პროკურატურამ 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 სისხლის სამართლის საქმეზე 6 პირის მიმართ. [42]

[42] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

დასაბუთებული წინადადებები

დასაბუთებული წინადადებების შინაარსი



2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 23 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან, 20 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 3 წინადადება გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობას.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან, 4 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 6 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან, 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 2 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.[43]

დასაბუთებული წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



[43] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 23 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აღნიშნული 23 წინადადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 22 წინადადება, ხოლო 1 წინადადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ[44].

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აღნიშნული 10 წინადადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 2 წინადადება, 2 წინადადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ[45], ხოლო, 6 წინადადება არ დაკმაყოფილდა[46].

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა[47]. აღნიშნული 10 წინადადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 8 წინადადება, 1 წინადადება არ დაკმაყოფილდა[48] ხოლო 1 წინადადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ[49].

---

[44] წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას;

[45] წინადადებები შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას;

[46] წინადადებები ეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

[47] იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

[48] წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას;

[49] წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას;

10

მსხვერპლისათვის საქმის მასალებზე წვდომის უზრუნველყოფა

10. მსხვერპლისათვის საქმის მასალებზე წვდომის უზრუნველყოფა

როგორც უკვე აღინიშნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით 2022 წლის 27 ივლისიდან ამოქმედდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი. აღნიშნულის საფუძველზე 27 ივლისიდან 31აგვისტოს ჩათვლით პერიოდში:

- 40 სავარაუდო მსხვერპლიდან 31 პირთან მოხდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საქმის მასალების გაცნობის უფლების განმარტება;

- 9 სავარაუდო მსხვერპლთან ვერ მოხდა ინფორმაციის მიწოდებისა და საქმის მასალების გაცნობის უფლების განმარტება[50];

- 8 მსხვერპლმა ითხოვა ინფორმაციის მიწოდება და საქმის მასალების გაცნობა, რაც სრულად დაკმაყოფილდა;

11 უახლოესი გეგმები

[50] რეკომენდაციის მიხედვით, სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ვერ მოხერხდა/უარი განაცხადა მსხვერპლმა გამოკითხვაზე ან/და არ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში.

11.1.

სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს შექმნა

სამოხელეო დანაშაულის პრევენციის მიზნით, სამსახური გეგმავს **სამოხელეო დანაშაულის პრევენციის სპეციალური საბჭოს შექმნას,** რომელშიც სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას და სადაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიების დროს ამ უწყებებთან მიმართებით გამოვლენილ კონკრეტულ გამოწვევებს წარადგენს და მათი გადაწყვეტის გზებს შესთავაზებს. აღნიშნულის საფუძველზე საბჭო უფლებამოსილი იქნება შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მონიტორინგი მათ ჯეროვან შესრულებაზე. საბჭოს ეფექტურ მუშაობაზე სამსახურის ქვემდებარე კონკრეტული დანაშაულების კლება; პოტენციურ მსხვერპლთა რიცხოვნობის შემცირება, სამსახურის რესურსის დაზოგვა და სამოხელეო დანაშაულის შედეგად სამართალდამცავი ორგანოს იმიჯზე მიყენებული ზიანის თავიდან არიდება დიდწილად იქნება დამოკიდებული,.. ასეთი ტიპის თანამშრომლობა რა თქმა უნდა საჭიროებს დახვეწას, განვითარებას და მუდმივ სამუშაო ფორმატში მოქცევას, რომ თანამშრომლობამ მოიცვას არამხოლოდ დანაშაულის შემდგომი პერიოდი, არამედ იგი ეფექტიან მექანიზმად იქცეს დანაშაულის პრევენციის მიზნებისთვის ეფექტიან მექანიზმად იქცეს. როგორც უკვე აღნიშნა სპეციალური საბჭო უფლებამოსილი იქნება შეიმუშავოს შესაბამისი წინადადებები და გეგმები, რაც შედეგად მოიტანს ადამიანის უფლებათა დაცვის მეტ გარანტიებს და გაზრდის გამოძიების ეფექტიანობას.

11.2.

ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა

მომდევნო კვარტალში სამსახური გეგმავს დაიწყოს მუშაობა ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, უზრუნველყოს **დაცვის სპეციალური ღონისძიებების ეფექტური გამოყენება.**

არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება აჩვენებს, რომ პოტენციურ დაზარალებულს, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენლის გადაჭარბებული ძალის გამოყენების მსხვერპლი აღმოჩნდა, მომეტებული ალბათობით შესაძლოა ჰქონდეს დაუცველობის და არასათანადო მოპყრობის განმეორების განცდა. თავის მხრივ, საგამოძიებო ორგანოს - სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შესაძლოა ჰქონდეს საფრთხის შეგრძნება, რომ სამართალდამცავი, რომელმაც გადაამეტა ძალას ან არასათანადოდ მოეპყრო მოქალაქეს, ჰქონდეს მცდელობა საკუთარი უფლებამოსილების და მდგომარეობის (ავტორიტეტი, სამსახურებრივი გავლენები, აგენტები, სანაცნობო წრე, სამსახურებრივი რესურსი) გამოყენებით ისეთი გავლენა მოახდინოს პოტენციურ დაზარალებულზე, რამაც გაართულოს ან სრულიადაც შეუძლებელი გახადოს საგამოძიებო ორგანოს და მსხვერპლის ეფექტური თანამშრომლობა და შესაბამისად გამოძიების წარმატებით დასრულება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური პოტენციური მსხვერპლის უფლებების დაცვის და ეფექტური გამოძიების წარმართვის მიზნების უზრუნველსაყოფად, ვალდებულია კანონით გათვალისწინებული მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი გამოიყენოს.

ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმი შესაძლოა იყოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელიც პოტენციურ მსხვერპლს აძლევს საშუალებას სათანადო საფუძვლების არსებობისას თავი იგრძნოს დაცულად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყველა იმ საქმეში, სადაც მსხვერპლი/დაზარალებული თვლის, რომ დაექვემდებარა სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობას, გამომძიებელმა მომჩივანთან შეავსოს სპეციალური რისკის შეფასების კითხვარი. თუკი გამოძიება დაასკვნის, რომ არსებობს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, იგი ამის შესახებ წერილობითი წინადადებით მიმართავს პროკურორს, რომელმაც უნდა გამოიტანოს დადგენილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სამსახური უკვე მუშაობს ამ მექანიზმის ასამოქმედებლად საჭირო შესაბამისი კითხვარისა და მეთოდოლოგიის შესამუშავებლად.

11.3.

ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა

სამსახური მომდევნო კვარტალში გეგმავს დაიწყოს ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა, რომლის განხორციელებაც შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებით იქნება შესაძლებელი. დოკუმენტმა არსებული პრაქტიკის და გამოწვევების გათვალისწინებით უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორიცაა: გამოძიების დაწყების ერთიანი მიდგომები; ქმედებაზე სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის რეკომენდაციები, რაც ამ დროისთვის პროკურორის კომპეტენციაა, ხოლო ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, ეს ფუნქცია გამომძიებელს მიენიჭება. სწორედ საგამოძიებო ორგანოს მართებს გაანალიზოს მისი ქვემდებარე დანაშაულები და სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განსაზღვროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხები; სახელმძღვანელოში აუცილებლად ასახული უნდა იყოს დაზარალებულად ცნობის სტანდარტები, რაც ასევე აქამდე არსებული საგამოძიებო, სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზებას საჭიროებს; სახელმძღვანელო ასევე უნდა მოიცავდეს დევნის დაწყების სტანდარტებსაც, რადგანაც გამომძიებელი იქნება ის პირი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს.

11.4.

დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მუდმივი უკუკავშირის, ანგარიშგებისა და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის პირველ ნახევარში დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის პირველი შეხვედრის ჩატარებას გეგმავს, რომელიც წელიწადში 2-ჯერ გაიმართება. მსგავსი მექანიზმის არსებობა დონორი ორგანიზაციების ეფექტურ კოორდინაციას და ორგანიზაციის სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებზე მათი ძალისხმევისა და რესურსების სწორად მიმართვას შეუწყობს ხელს. შეხვედრაზე სამსახური სტრატეგიულ მიზნებს, პრიორიტეტულ ამოცანებსა და იდენტიფიცირებულ საჭიროებებს წარადგენს, რაც დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს ნაყოფიერად დაგეგმონ სამომავლო პროექტები და თანამშრომლობის მიმართულებები.

11.5.

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა

- უახლოეს მომავალში განსახორციელებელ გეგმებში პირველ ადგილს სამსახურის განვითარების 3 წლიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება იკავებს. პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა უკვე დაწყებულია, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ფართო დისკუსიის შემდგომ მიმდინარე წლის ბოლომდე დამტკიცდება. დოკუმენტზე მუშაობის ამ პროცესში იდენტიფიცირებული საჭიროებების ნუსხა დონორების საკოორდინაციო საბჭოს პირველივე შეხვედრაზე იქნება წარდგენილი.

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ [51] ფარგლებში სამსახური გეგმავს კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას. ასევე, დაგეგმილია რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება, ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

---

51 HTTPS://EU4GEORGIA.EU/KA/PROJECTS/EU-PROJECT-PAGE/?ID--332

◆ სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების მიერ საქმიანობის შეფასების (უკუკავშირის) მექანიზმების დანერგვა იგეგმება. საკომუნიკაციო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაიწერება ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ აღქმებს სამსახურის ფუნქციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, გაზრდის ნდობას და სამსახურის ცნობადობას (ცხელი ხაზი, სოციალური მედია და სხვა).

◆ სახელმწიფო ორგანოებისა და სამოქალაქო სექტორის ცნობიერების გაზრდის მიზნით, სამსახური გეგმავს პირისპირ საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარებას, ასევე, ონლაინ კონფერენციებისა და სხვა მიზნობრივი საგანმანათლებლო კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებას, მათ შორის, დარჩენილ რეგიონებშიც (ქვემო და შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია).

11.6.

სხვა აქტივობები

- სამსახური გეგმავს:

ა) გააფართოვოს გენერალური ინსპექციის ფუნქციები, მათ შორის მიეცეს საგამოძიებო უფლებამოსილება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ის შესაძლო რისკი, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლობის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი თუ განზრახი დანაშაული გამოსაძიებლად აღმოჩნდეს იმ უწყების ქვემდებარეობაში, რომელი უწყების თანამშრომლების მიერ ჩადენილ დანაშაულსაც იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური. ასეთ დროს ბუნებრივად ჩნდება პოტენციური საფრთხე, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლობის მიერ შესაძლო ჩადენილი დანაშაულის გამოძიება არ წარიმართოს ობიექტურად და დაინტერესებულ უწყებას/მის რომელიმე თანამშრომელს ამოძრავებდეს მისი დასჯის ან დამოუკიდებელ საგამოძიებო უწყებაზე მანიპულირების

განზრახვა. ეს რისკი თავიდან იქნება აცილებული, თუ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გენერალური ინსპექცია შეიძენს საგამოძიებო ფუნქციას და ასეთი ტიპის დანაშაულების გამოძიებას თავად მოახდენს.

ბ) მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ თანახმად ქვეყანამ აიღო პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების გზით, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით ეფექტიანი რეფორმები განახორციელოს. დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის მისიაა განამტკიცოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში, შექმნას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი გარანტიები, აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიებით მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება, გააჩინოს აღქმა საზოგადოებაში, რომ მოქალაქეები დაცული არიან სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული, არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებისგან. გამოძიების მიმდინარეობაზე მსხვერპლის/დაზარალებულის ჩართულობა და ინფორმირებულობა თავის მხრივ უზრუნველყოფს როგორც ეფექტიან გამოძიებას, ასევე ზრდის მოქალაქის ნდობას მისი უფლებების შელახვასთან დაკავშირებული გამოძიების შედეგთან მიმართებით. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მსხვერპლებთან სამსახურის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სამსახური გეგმავს სტრუქტურული ერთეულის შექმნასა და მის შედგომ რეგიონალურ გაფართოებას.

საანგარიშო პერიოდი: 6თვე

sis.gov.ge